

**ნათია კენტიაშვილი**

დამოუკიდებელი მკვლევარი,
საქართველო
natia.kentchiashvili@gmail.com



რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით

საქართველოში მჭევრმეტყველების სწავლების ისტორიისთვის მნიშვნელოვანია რიტორიკის პირველი სახელმძღვანელოების განხილვა. მათ რიცხვში შედის როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური ნაშრომები. პირველ ასეთ სახელმძღვანელოდ უნდა დავასახელოთ, მხითარ სებასტაქის „რიტორიკა“, რომელიც ითარგმნა სომხურიდან, დაახლოებით 1761-1764 წლებში. წიგნი თარგმნეს და გამართეს ანტონ ბაგრატიონმა, ფილიპე ყაითმაზიშვილმა და დოსითეოზ ჩერქეზიშვილმა. რიტორიკის შემდგომი სახელმძღვანელოები უკვე ორიგინალურია, მათ შორის, ცნობილია სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“ 1827-1828 წელს დაწერილი და 1879 წელს, კონსტანტინეპოლში, ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემული „მოკლე ჰეგოხიკა გინა მჭევხ-მეგყვედება სასახეებდოდ ახად გაზდა ყმაწვიდ კაცთა“.

საკვანძო სიტყვები: ქართული რიტორიკა, რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში, რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები

1. შესავალი

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის განხილვისას, როგორც წესი, ახსენებენ ხოლმე სოლომონ დოდაშვილის „*ჰეგოხიკას*“, ხოლო რიტორიკის სხვა სახელმძღვანელოებს ნაკლები ყურადღება აქვთ დათმობილი. წინამდებარე კვლევაში წარმოვადგენთ ჩვენთვის ცნობილი რიტორიკის სამივე სახელმძღვანელოს. კვლევაში განვიხილავთ აღნიშნულ წიგნებს, მათ ავტორებს,

შემდგენლებს, მთარგმნელებსა და გამომცემლებს, თარგმნის მიზეზებს, შექმნის ეპოქას, ისტორიულ გარემოებებს და სხვ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გაანალიზება სწორედ ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ერთ ეპოქას განეკუთვნებიან და ერთი თემატიკის სახელმძღვანელოებია. სწორედ ამ შემთხვევაში შევძლებთ უკეთ შევაფასოთ რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლების როლი და მნიშვნელობა XVIII-XIX სს-ის საქართველოში. ის საკითხები, რომლებიც წარმოდგენილი და განხილულია რიტორიკის პირველ ქართულენოვან სახელმძღვანელოებში, სასურველია გაანალიზებულ იქნეს იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სასწავლო მიზნით შეიქმნა. სწორედ ამ შემთხვევაში შეგვექმნება მათზე ობიექტური წარმოდგენა და შევაფასებთ მათ რეალურ ღირებულებას.

აღნიშნული სახელმძღვანელოების ერთად შესწავლა მნიშვნელოვანია ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის უკეთ გასააზრებლად. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი ღირებულება და ადგილი ქართული მჭევრმეტყველების სწავლების ისტორიაში.

2. ქართული მჭევრმეტყველების სწავლების თეორია და პრაქტიკა

საქართველოში მჭევრმეტყველების თეორიისა და პრაქტიკის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა მხოლოდ XVIII საუკუნიდან გვაქვს შემორჩენილი ადგილობრივი ცნობები და პირველი სახელმძღვანელოები. მაგალითად, რიტორიკის შესახებ ვრცელი მსჯელობაა მოცემული იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „კალმასობაში“, რომელიც დაიწერა 1813-1828 წწ-ში (ბატონიშვილი, 1936: II). ამ პერიოდში განიხილებოდა ისეთი თეორიული ხასიათის საკითხები, როგორიცაა მჭევრმეტყველების არსი, საგანი, ადგილი („საზღვაჲი“) და ა.შ.

იმდროინდელ საქართველოში რიტორიკა შეისწავლებოდა ორ საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სკოლაში – 1755 წელს თბილისში, ხოლო 1782 წელს თელავში გახსნილ რუსულ-სლავური ტიპის სასულიერო სემინარიებში. აღნიშნულია, რომ „ამ სასწავლებელთა მიზანი იყო აღეზაჲდა სპეციალური განათლების მქონე სასულიერო-საეკლესიო სახბიერის მოღვაწე. მათი სასწავლო გეგმა, სასწავლო საგნები, სასკოლო სისგემა და სხვ. ძალიან წააგავდა სხვა ქვეყნებში ახსებულ სქოდასტიკურ სკოლებს“ (ბეგიაშვილი, 1937: 170).

იმ დროის გამოჩენილი მოღვაწე, თელავის რექტორი გაიოზი თავის ორატორულ სიტყვაში ეხება სამეცნიერო მიმართულებებს და გვაძლევს მათ შეფასებას, სადაც ჩანს მისი დამოკიდებულება სხვადასხვა სწავლების მიმართ: „უუკანასკნელ ვიგყვ ვითაჲმედ ღჲამმატიკა ახს ჰაზიჲი ჭიღოსოფოსებჲი. ყოვლისა კაცობჲივისა სიგყვეხებისათ-ს და თჲნიეჲი ამის ცნობისა ხიგოჲი ახს მოკდე-სიგყუა და ბნედ მესტიხე, ანუ მოშაიხე, ედამ და მხუდ. ჭიღოსოფოსი უსაფუ-

ძეგრო. მეისტოხიე უსიამოვნო და აღიუდ და ღვთის მეგყუჭვი საიჭო. ხ- მსაჯური უსახებდრო თავისა თვისისა და სხუათაცა: და ვინაღვან ლხამმატიკასა შინა აქუსთ ყოვერთა ცნობათა ესოღენი საქიხოება.“ (თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, 1902: 16).

რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის სწავლება ამ პერიოდის სკოლებში სავალდებულო სასწავლო საგნად შემოიღეს. შეიქმნა სპეციალური სახელმძღვანელოებიც. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება დღემდე ჩვენთვის ცნობილი, ერთადერთი ნათარგმნი, ხელნაწერების სახით შემორჩენილი სახელმძღვანელო რიტორიკაში. ესაა მხითარ სებასტაციის „*ჩიგოჩიკა*“, რომელიც ითარგმნა სომხურიდან, დაახლოებით 1761-1764 წლებში. წიგნის თარგმნა საქირო გახდა იმდროინდელი სემინარიების საქიროებიდან გამომდინარე. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვლეულია, რომ აღნიშნული წიგნის ქართული თარგმანების სხვადასხვა რედაქციაზე მუშაობდნენ ანტონ ბაგრატიონი, ფილიპე ყაითმაზიშვილი და დოსითეოზ ჩერქეზიშვილი (ბარამიძე, 1987: 373). წიგნი დღემდე ხელნაწერების სახით არსებობს და მისი შექმნის დღიდან დღემდე, არც თავის დროზე და არც შემდგომ პერიოდში, არ გამოქვეყნებულა.

უკვე შემდგომი წიგნები, რომელსაც განვიხილავთ, განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც თბილისისა და თელავის სემინარიები აღარ არსებობს. ამ დროს საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და იხსნება სხვა ტიპის სასწავლებლები, იქმნება ახალი სტამბები და გამოიცემა პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელოები.

სწორედ ამ პერიოდში მომზადდა კიდევ ერთი წიგნი სოლომონ დოდაშვილის „*ჩიგოჩიკა*“ (დოდაშვილი, 1989), რომელიც ჩვენამდე მოღწეულ პირველ ორიგინალურ, ქართულენოვან სახელმძღვანელოდ ითვლება. წიგნის დაწერის თარიღად მიუთითებენ 1827-1828 წლებს. ჩვენი ვარაუდით, ამ წიგნის შექმნაც სასწავლო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. თუმცა როგორც მისი საბოლოო სახით გამართვა, ისე გამოქვეყნება ავტორს არ დასცალდა. უფრო ვრცლად ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამას მოსდევს უკვე ბეჭდური სახით, 1879 წელს, კონსტანტინეპოლში, ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემული „*მოკლე ჩიგოჩიკა გინა მჭევრ-მეგყვერება სასახებდროდ ახად გაზდა ყმაწვიდ კაცთა*“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879), რომლის ავტორიც უცნობია.

2.1. მხითარ სებასტაციის „*რიტორიკა*“

XVIII ს.-ის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების მეტად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ცნობილი სომეხი მოღვაწის მხითარ სებასტაციის „*რიტორიკის*“ ქართული თარგმანები, რომელთა რიცხვიც 51-ს აღწევს. ამათგან ყველაზე ნაკლები ტექსტი 67 გვერდს შეიცავს, ხოლო ყველაზე სრული – 426 გვერდს. თარგმნის აუცილებლობა სასწავლო მიზნებით იყო განპირობებული,

იმდროინდელი სემინარიების საჭიროებიდან გამომდინარე.

გრ. ბარამიძის აზრით, მხითარ სებასტაქის „რიტორიკა“ ითარგმნა სომხურიდან, დაახლოებით 1761 წელს (ბარამიძე, 1987). თუმცა არის მოსაზრება, რომ პირველი თარგმანი უნდა შესრულებულიყო არაუადრეს 1764 წელს ანტონის რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ (დედაბრიშვილი, 2013: 329; ანდრონიკაშვილი, 2007: 75).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ აღნიშნული წიგნის ქართულად თარგმნასა და სასწავლო მიზნებისთვის მის გამართვაზე მუშაობდნენ ფილიპე ყაითმაზიშვილი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ანტონ ბაგრატიონი (ბარამიძე, 1987: 373). გრ. ბარამიძემ ხელნაწერების ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ ტექსტი უნდა ყოფილიყო თარგმნილი ფილიპე ყაითმაზიშვილის მიერ, ხოლო შემდეგ მის ნათარგმნ ტექსტზე დაყრდნობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამუშაო უნდა შეესრულებინათ როგორც ანტონ ბაგრატიონს, ისე დოსითეოზ ჩერქეზიშვილს (ბარამიძე, 1987: 373). თარგმანში აქტიურად მონაწილეობდა დოსითეოზ ნეკრესელი. ფილიპე თარგმნიდა, დოსითეოზი კი არედაქტირებდა, სომხურიდან თარგმნილ ფრაზებს აწყობდა ქართული ენის კანონების მიხედვით. ხელნაწერზე უმუშავია ანტონ პირველსაც. მას შეუმცირებია თარგმანი და უცდია მკითხველისთვის გასაგები გაეხადა. მხითარ სებასტაქის წიგნი საქართველოში ვერ გავრცელდა. იგი მხოლოდ ანტონ პირველმა გამოიყენა ნაშრომში „სკეკალი“. (დედაბრიშვილი, 2013: 329-330).

ცალკე აღნიშვნის ღირსია სომხურ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის განმავლობაში. ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდი როლდენობით ითარგმნებოდა სომხურიდან ქართულად სამეცნიერო ნაშრომები და ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტი. გრ. ბარამიძე ამის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს შემდეგ ფაქტორს, რომ ეროვნული მეცნიერების განვითარებისთვის აუცილებელი გახდა ერთმანეთის ლიტერატურით დაინტერესება, როგორც ქართველების, ისე სომხების მხრიდან (ბარამიძე, 1987: 371). ჩვენი აზრით, ამას ხელს უწყობდა ის საგამომცემლო საქმიანობაც, რომელიც ამ პერიოდში საზღვარგარეთ ჰქონდათ სომეხ და ქართველ კათოლიკეებს წამოწყებული. მიუხედავად ამგვარი აქტიური ლიტერატურულ-საგამომცემლო ურთიერთობისა, აღნიშნული პერიოდი სამეცნიერო ლიტერატურაში არაა სათანადოდ შესწავლილი.

რაც შეეხება აღნიშნულ თარგმანზე მომუშავე პირებს, ფილიპე ყაითმაზიშვილი იყო საქართველოში მცხოვრები აზნაური (როგორც აზნაური მოხსენიებულია გეორგიევსკის ტრაქტატის წარჩინებულთა სიაში), ეროვნებით სომეხი, ქართულის მცოდნე, 21 ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი და მთარგმნელი, დაახლოებული იყო ერეკლე II-თან, რომლის ბრძანებითაც იგი ხელმძღვანელობდა 1755-1758 წლებში თბილისისა და თელავის საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სკოლებს. მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები უც-

ნობია.

დოსითეოზ ჩერქეზიშვილი იყო ნეკრესის ეპისკოპოსი¹, სომხურის კარგი მცოდნე და ფილიპე ყაითმაზიშვილის მოწაფე. ჩვენ შეგვიძლია ადვილად ავხსნათ მის მიერ განეული წვლილი მხითარ სებასტაციის „*ჩიგოჩიკის*“ თარგმანზე, ჯერ ერთი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ფილიპე ყაითმაზიშვილი, როგორც ნამონაფარი და მასწავლებელი, ჩართულნი იყვნენ იმ დროის სემინარიების სასწავლო პროცესებში, მეორეც ერთი, სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა მათ უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. ამდენად, ფილიპე ყაითმაზიშვილის თარგმნილ წიგნზე დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიერ განეული შრომა სრულიად ბუნებრივი ასახსნელია. თუმცა საკითხავია, ანტონ ბაგრატიონის მხრიდან მხითარ სებასტაციის „*რიტორიკით*“ დაინტერესება რით იყო განპირობებული.

ამ ფაქტს გრ. ბარამიძე ხსნის შემდეგი მოსაზრებით: მხითარი სომხური კათოლიკური კონგრეგაციის ფუძემდებელი იყო (მხითარიანთა კონგრეგაცია დაარსდა 1701 წელს ქ. კონსტანტინოპოლში), ხოლო ანტონს, გარდა იმისა, რომ იცოდა სომხური ენა, ასევე ჰქონდა ინტერესები კათოლიკური სამყაროსადმი. მართლაც, ანტონ კათალიკოსმა კათოლიკობაც მიიღო, რაშიც ის ამხილეს და გადააყენეს თავისი თანამდებობიდან საეკლესიო კრების მიერ 1755 წელს (კეკელიძე, 1987: 444). ამიტომ, გასაკვირი არც არის, რომ ანტონ ბაგრატიონი „*ჩიგოჩიკის*“ ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერზე მინაწერის სახით წერდა, რომ საქართველოში რიტორიკით დაინტერესება გამოიწვია უპირველეს ყოვლისა თავად ნაშრომის მეცნიერულმა ღირებულებამ და მეორეც თვით ავტორის, მხითარ სებასტაციის მსოფლიო კათოლიკურ სამყაროში დიდმა ავტორიტეტმა (ბარამიძე, 1987: 372).

რაც შეეხება სომხური ენის ცოდნის საკითხს, ამაზე ანტონი წერს: „*ჩამეთუ მე ქახთუღისა ენისა კიდე სხვა ახა უწყოდი ენა, გახნა მხოლოდ წიგნი სომხეთა უწყოდი და ივიცა ფხიად მცხიედ და მოკლედ*“, *აგხეთვე „შემეწოდა მე ფიდიპე ხუცესი სომეხთა გუაჩისანი, თახგმანებითა სომეხთა წეხიღთათა“*. როგორც ჩანს, ანტონს სომხური ენა სცოდნია, მაგრამ არა იმდენად, რომ რთული ფილოსოფიური თხზულებანი დამოუკიდებლად, სხვათა დახმარების გარეშე ეთარგმნა (დედაბრიშვილი, 2013: 321). ამით ახსნება ის, რომ რიტორიკის თარგმანზე სწორედ ფილიპე ყაითმაზიშვილის უმუშავია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ ბაგრატიონი მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე გახლდათ, დიდი ქართველი მოაზროვნე, მწერალი, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად, ანტონი უძღვებოდა სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს. ანტონ კათალიკოსი იყო ორგანიზატორი და იდეური ხელმძღვანელი 1755 წელს თბილისში, ხოლო 1782 წელს თელავში გახსნილი რუსულ-სლავური ტიპის სასულიერო

¹ აქედან მოდის ზედწოდება „*ნეკრესელი*“ და ამიტომაც, ბევრ წყაროში ის მოხსენიებულია, როგორც „*დოსითეოზ ნეკრესელი*“.

სემინარიებისა. მან განუსაზღვრა სასწავლებლებს პროფილი, დაუსახა სამოქმედო პროგრამა, შეუქმნა ძირითადი სახელმძღვანელო ლიტერატურა (როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური) (კეკელიძე, 1987: 444). „ანგონ I აზხით, ეს სკოლები უნდა ყოფილიყო მოსკოვის სდავუხ-ბეხძნუდ-დათინუხი აკადემიის მსგავსი სასწავლებლები, მსგავსი თავისი მოწყობილობით და დანიშნულებით. ანგონ I, ხომედიც ხუსეთში ცხოვრობდა, და მსახურობდა ჩამოდენიმე წედს, საფუძვლიანად გაეცნო იქაუხ სკოლებს და მათი ტიპის გადმოგანა მოისუხვა საქაჩთვედოში. ამიგომ ტფილისისა და თედავის სემინაჩიები ძიხითადად წააგავდენ ხუსეთის ამავე ტიპის სასუდეიხო-საეკდესიო სკოლებს“ (ბეგიაშვილი, 1937: 170-171).

2.1. სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“

ქართული მჭევრმეტყველების პირველ თეორეტიკოსად შეგვიძლია დავასახელოთ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე, სოლომონ დოდაშვილი. მას ეკუთვნის დღემდე ჩვენამდე მოღწეული პირველი ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელო მჭევრმეტყველებაში სახელწოდებით „*ჩიგოჩიკა*“ (დოდაშვილი, 1989: 179-189),

„*ჩიგოჩიკის*“ დაწერის თარიღად უთითებენ დაახლოებით 1827-1828 წლებს. ამის არგუმენტად მოყვანილია შემდეგი მოსაზრება: 1828 წლის 21 სექტემბრით დათარიღებულ თავის წერილში იონა ხელაშვილისადმი, სოლომონ დოდაშვილი „*ჩიგოჩიკას*“ როგორც დამთავრებელ ნაშრომს ისე მოიხსენიებს (ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: 148; დარჩია, 1992: 21). უფრო მეტიც, სოლომონ დოდაშვილი აპირებდა წიგნის რუსულად თარგმნასაც (ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: 148). მხოლოდ 1955 წელს იქნა გამოვლენილი ს. დოდაშვილის „*რიტორიკა*“ თ. კუკავას მიერ¹. ხოლო გამოქვეყნდა იმავე წელს დ. ქუმსიშვილისა და თ. კუკავას გამოკვლევასთან ერთად (ქუმსიშვილი, კუკავა, 1955: 148-157).

წ. კანდელაკის შეფასებით, „ეს პიხვედი ოჩიგინადუხი ნაშჩომია ქაჩთუდი მეგყვედების თეოჩიის დაჩგში და, მიუხედავად მისი სქემატუხი შინააჩისისა, ყუჩადლებას იმსახუხებს საკითხების დაყენებით, მათი კვდევა-ძიებითა და მეცნიეხუდი განზოგადებით. აქ განსაზღვხუდია *ჩიგოჩიკის* საგანი და ამოცანა, ნაჩვენებია მისი სამეცნიეხო სფეხო და მოსაზღვხე დისციპლინები, დაპაჩაკია მჭევრმეტყველების თეოჩიუდ წანამძღვხებსა და პაქტიკუდ მნიშვნელობაზე, დასახელებუდია ზეპიჩი სიგყვის ოსტატები, მათი ხედოვნების გზები, საშუადებანი და სხვ. *ჩიგოჩიკის* საკითხების ეს დიდი წიხე ს. დოდაშვილის ნაშჩომში

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში გამოავლინეს S – 5205 ხელნაწერი, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც „*რიტორიკა*“ და ჰქონდა 1829 წლის ჭვირ-ნიშანი, არ ერთვოდა ავტორის და/ან გადამწერის ხელმოწერა.

თეოხიუდად გაუვხცობედია, მაგჰამ ფაჰთო განზოგადების მასადის სახითაა წაჰმოგვნიდი“ (კანდელაკი, 1958: 38). სწორედ ეს „გაუვხცობლობა“ ქმნის წიგნის დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას. თუმცა, თვითონ სოლომონ დოდაშვილი „*ჰიგოჰიკას*“, როგორც დამთავრებულ ნაშრომს ისე მოიხსენიებს იონა ხელაშვილისადმი 1828 წლის 21 სექტემბრით დათარიღებულ წერილში (დარჩია, 1992: 21). ს. დოდაშვილს წიგნის როგორც სრულყოფა, ისე მისი დაბეჭდვა¹ უკვე აღარ დასცალდა.

ს. დოდაშვილის „*ჰიგოჰიკა*“ იყოფა შემდეგ თავებად: „განსხუავება ძუჭლისა და ახლისა რიტორიკისა“, „საგანი რიტორიკისა“, „შესანევენელი სწავლანი რიტორიკისა“, „განსხუავება რიტორიკისა და პიიტიკისა“, „მოკლე ისტორია რიტორიკისა“, „განყოფა“, ე.ი. რიტორიკის შემადგენელი ნაწილების განხილვა; აგრეთვე ორგანვე არის საკითხი იმ სარგებლობის შესახებ, რაც რიტორიკას მოაქვს და სხვ.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ესმოდა ს. დოდაშვილს რიტორიკა, მხოლოდ „*მჭევრმეცყვედების თეოხიად*“, თუ „*საეხთოდ პიოზის თეოხიად*“: „*დოდაშვილის „ჰიგოჰიკა“ იყო საეხთოდ პიოზის თეოხია, ანუ ჰოგოჰც თვით დოდაშვიდი იცყოდა, ის იყო მეცნიეხება, ჰომედიც სწავდობდა „ყოვედთა გვაჰთა პიოზაიკებთა თხზუდებათა გამოუხიცხვედად“ და აჰა მჭევრმეცყვედების თეოხია, მით უმეგეს, მხოლოდ მჭევრმეცყვედების ხედოვნება*“ (კუკავა, 1968).

ს. დოდაშვილის „*ჰიგოჰიკა*“ XVIII საუკუნის „*ჰიგოჰიკებს*“ ჩამოჰგავს. თუმცა არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ ავტორს ცალკეული საკითხების გააზრებაში გარკვეული სიახლეები შემოაქვს (ჯაგოდნიშვილი, 1999: 47). ს. დოდაშვილი პასუხს სცემს ისეთ კითხვას, როგორიცაა: რიტორიკა ხელოვნებაა თუ მეცნიერება? XIX საუკუნის პირველი ნახევრის არც ერთ ხელნაწერში არ ვხვდებით რიტორიკის ისეთ გაგებას, რომლის მიხედვითაც, რიტორიკა ორგვარადაა გააზრებული, როგორც მეცნიერება და როგორც ხელოვნება (ქუმსიშვილი & კუკავა, 1955: 149). ს. დოდაშვილი ამ მხრივაც ორიგინალურ მოაზროვნედ გვევლინება. „*წიგნი ჰიგოჰიკა აჰს ჰსწავდა და აჰა ხედოვნება, ვინაიდგან იგი იპყიობს თვის შოხის თეოხიასა ანუ კანონთა სისგემაგიკებხ დაწყობითა. ხოდო ხედოვნებასა ქვეშე იგუდისხმების მოყვანა ჰიგოჰიკასა შინა წაჰწეხიდთა კანონთა აღსხუდებასა ანუ მოქმედებასა შინა. ესხეთითა ხაგითა ჰიგოჰი განსხვავედბა ოხაგოჰისაგან*“ (დოდაშვილი, 1989: 181). თავისი დროის თეორიული ცოდნის შესაბამისად, ავტორი ერთმანეთისაგან მიჯნავს რიტორიკას როგორც მეცნიერებას და როგორც ხელოვნებას შემდეგნაირად: რიტორიკის თეორიას მეცნიერებად მიიჩნევს, ხოლო რიტორიკის პრაქტიკას – ხელოვნებად. ავტორი აგრძელებს მსჯელობას რიტორიკის შესახებ და მის ისტორიას ორ ეპოქად ჰყოფს: „*პიხვედსა ეპო-*

1 ს. დოდაშვილი ასევე აპირებდა წიგნის რუსულად თარგმნასაც (უფრო ვრცლად იხ. ქუმსიშვილი & კუკავა, 1955: 148).

ხასა შინა იგი იყო ხედოვნება, ხომდისაცა საგანი იყო პოდიტიკები მიჭეხ-სიცივაობა. მეოხეს ეპოხასა შინა ჩიგოჩიკა შეიქმნა ჰსწავდა და საგანი მისი ახს განვითაჩება პხოზაიკებჩისა მწეჩდისა.“ (დოდაშვილი, 1989: 182-183). თეორიასა და პრაქტიკას, ს. დოდაშვილი მოიაზრებს, როგორც სწავლების შემადგენელ და განუყოფელ კომპონენტებს, არა მხოლოდ რიტორიკაში, არამედ სხვა ნებისმიერი საგნის შემთხვევაში: „ჩიგოჩიკა მსგავსად მჩავადთა სხუათა ჰსწავდათა, განიყოფების ოხთა ზედა ნაწიდა – ხედვითსა და საქმითსა ზედა, ანუ თეოხეტიკებისა და პჩაქტიკებისა ზედა“ (დოდაშვილი, 1989:).

ს. დოდაშვილის „რიტორიკა“ საყურადღებოა არა მხოლოდ საკითხთა დაყენებისა და გადმოცემის, არამედ ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც. ის იყენებს შემდეგ ტერმინებს: „აღმოჩენილი პხოზა“, მის რუსულ ეკვივალენტად კი მოჰყავს изышная поза. მჭევრმეტყველებისა და მჭევრმეტყველური პროზის ეკვივალენტად კი ხმარობს ტერმინს: красноречие.

ვნახოთ, თუ რა თეორიულ ცოდნას ავლენს ს. დოდაშვილი რიტორიკის საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ს. დოდაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელსაც რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული. ის განსწავლული იყო თავისი დროის ცოდნის კვალობაზე, რაც თვალსაჩინო ხდება მისი ნაშრომების გაცნობის შემდეგ. ს. დოდაშვილის „ჩიგოჩიკა“ XVIII საუკუნის „ჩიგოჩიკებს“ ჩამოჰგავს. თუმცა არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ ავტორს ცალკეული საკითხების გააზრებაში გარკვეული სიახლეები შემოაქვს (ჯაგოდნიშვილი, 1999: 47). მართლაც, ს. დოდაშვილის „ჩიგოჩიკა“ რომ არ იყო სხვა სასწავლო სახელმძღვანელოების მსგავსად მხოლოდ კომპილაციური ხასიათის, ჩანს იქიდან, რომ მას დასახელებული ჰყავს თავისი დროის არაერთი ცნობილი ავტორი. ეს დამახასიათებელი ნიშანი მეტ მეცნიერულ ღირსებას სძენს მის ნაშრომს. ს. დოდაშვილს დამოწმებული გყავს ჟ. ფ. ლაგარპი (1739-1803), ფრანგი ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, პროფესორი, ლიტერატურის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, ი. ი. ეშენბურგი (1743-1820) – გერმანელი, ბრაუნშვეიგელი პროფესორი, ლესინგის მეგობარი, პროფესორი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ლიტერატურაში. რიტორიკის რუსი სპეციალისტებიდან დასახელებულია ნ. გრეჩი (1787-1867), რომელიც ლიტერატურის თეორეტიკოსიც იყო, ასევე ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი – ივ. რიჟსკი (1755-1811), რომელსაც ეკუთვის 1809 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული რიტორიკა.

ორიოდე სიტყვით შევეხებით იმ ისტორიულ გარემოებებსაც, რომელთა გარემოცვაშიც უწევდა ს. დოდაშვილს თავისი აქტიური საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობა. ამ მხრივ, მცირე, თუმცა საყურადღებო ცნობებიც მოგვეპოვება ზ. ჭიჭინაძის წიგნებში. მიუხედავად მათი არამეცნიერული ხასიათისა, მათ დამოწმებასა და აქ მოყვანას გვერდს მაინც ვერ ავუვლით. **ზ. ჭიჭინაძე** თავის წიგნში „ისგოჩია ქაჩთური სგამბისა და წიგნების ბეჭდვისა: 1626-1900“ წერს:

„1829 წ. გახსნილ ს. დოდაშვილის სტამბამ დიდხანს ვეი გასძღო. ამ სტამბაზე 5000 მან. ფული დაიხაჩა მღვდელ-მონაზონ ივანე ხელაშვილისა. დამაახსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ. ამ სტამბაში უნდა აღბეჭდილიყვნენ ყველა საჭიხო სახელმძღვანელო წიგნები, ის წიგნები, ხაც კი 1817 წ. გახსნილ სემენაჩიაში იქმნებოდა სახმახებდაც საჭიხო და ისევ იმ დროის „კეთილშობილთ სასწავლებელში“. ამავე სტამბაში გამოიცა გაზეთი „ტფილისის უწყება“ 1829 წ. და თვიური ჟურნალი 1832 წ. ამ წლის მეოთხე თვეს მოსპობილ იქმნა ეს სტამბა და მის გამგე-პატრონი რუსეთში გარდასახლებული სამუდამოდ, იგი რუსეთიდან საქართველოში ველარ დაბრუნდა“ (ჭიჭინაძე, 1900: 40-41).

ზ. ჭიჭინაძე კიდევ ერთ თავის წიგნში იმეორებს იმავე ცნობებს: „სწავლის გათავების წელსვე 1828 წ. ს. დოდაშვილი საქართველოში ჩამოვიდა. ქაჩთვერობამ დიდის პატივით მიიღო. თან ჩამოიგანა 6000 წ. მ. ფული, ხელაშვილისაგან მიღებული. ამას გახდა სხვა ქონებაც მოჰყოლოდა თან, ხომელიც ბაგონიშვილებს მიეცათ მისთვის. დაპიხებისამებ 1828 წ. იმეცადინა და ნებახთვა აიღო და თბილისში გახსნა ქაჩთურო სტამბა, ეს იყო პიხველი მაგალითი. ამ სტამბისათვის მან განიცადა დიდი შიხომა და წვადება. ამავე წელს მან ნება ხთვა აიღო და დაიწყო კვიხის ქაჩთურო გაზეთის „თბილისის უწყების“ გამოცემა. 1829 წ. გამოსცა თავის მიეხ შედგენილი ქაჩთურო გხამატიკა. 1832 წ. დაიწყო გამოცემა გაზეთის დამატების ოხ კვიხური დამატების ჟუხინადაც. ამ ჟუხინადას სუდ ოთხი წიგნი გამოვიდა 1832 წელს, მეტი ახა. მიზეზი ამის ის გახდათ, ხადგანაც ამავე წელს, საქაჩთვეროში, თბილისში, გამოაშკაჩავდა ფაჩური საზოგადოების ახსებობის ცნობები. მადე წევხებს დატუსალება დაუწყეს. ამათში მოჰყა სოდ. დოდაშვილიც, ხომელიც მეთაუხად თითქმის დამაახსებდაც ქმნა ცნობილი“ (ჭიჭინაძე, 1916: 167-168).

ამ ცნობებიდან ერთი რამ უდავოა: სტამბის „დამაახსებელთ“ (ს. დოდაშვილს, იონა ხელაშვილს და სხვ.) დიდი გეგმები ჰქონიათ, უპირველეს ყოვლისა კი ახალგახსნილი სასწავლებლების ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

2.3. „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმანვილ კაცთა“

კიდევ ერთ სახელმძღვანელოდ შეგვიძლია დავასახელოთ 1879 წელს, კონსტანტინეპოლში, ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემული „მოკლე ხეგოხიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასაჩგებლოდ ახად გაზდა ყმანვილ კაცთა“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879). წიგნის ავტორი და შემდგენელი უცნობია.

უცნობი ავტორის „მოკლე ხეგოხიკის“ მიმართ სამეცნიერო ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც პროფ. გ. შერვაშიძემ მიაკვლია მას სტამბულის კათოლიკური ეკლესიის საცავში. ამის შემდგომ სახელმძღვანელოს ლინგვისტური ღირებულება შეისწავლეს ნ. ცეცხლაძემ და მ. ხახუტაიშვილმა (იხ. ცეცხლაძე & ხახუტაიშვილი, 2011: 114-119). მათ გამოთქვეს თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ

„მოკლე რეტორიკის“ შემდგენელი შეიძლება იყოს ანტონის სკოლის წარმომადგენელი ან უბრალოდ თანამედროვე. იგი იყენებს ტერმინ „სხმითგარდასვლითს“, რომელიც ანტონს მხითარ სებასტაციის გრამატიკიდან გადმოუღია (ცეცხლაძე & ხახუთაიშვილი, 2011: 118). არც ისაა გამორიცხული, თუ წიგნის შემდგენელად დავუშვებთ ქართველ კათოლიკეს, უშუალოდ კონსტანტინეპოლში დაარსებულ სტამბაში მოღვაწე პეტრე ხარისჭირაშვილს.

წიგნის შექმნის წინარე გარემოებების შესახებ დადგენილია შემდეგი: „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ეკლესიის სინოდზე დაქვემდებარებას მოჰყვა კათოლიციზმის დევნა. ქართველმა კათოლიკეებმა ევროპის სხვადასხვა კუთხეში დააარსეს მონასტრები და საგამომცემლო საქმიანობას მიჰყვეს ხელი. ერთ-ერთი ასეთი კერა ყოფილა ვენეციაში. პეტრე ხარისჭირაშვილს კონსტანტინეპოლში დაუარსებია მონასტერი, ანთუან გვიზალიანის სტამბაში შეუძენია ქართული შრიფტი და წიგნების ბეჭდვა დაუწყია. აქვე 1879 წელს დაუბეჭდავთ „მოკლე ჰეგოხიკა გინა მჭევხმეცყვედებაც“ (ცეცხლაძე & ხახუთაიშვილი, 2011: 114).

ცალკე ინტერესის საგანია კონსტანტინეპოლში არსებული სტამბა. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება, უპირველეს ყოვლისა, დ. კარიჭაშვილის ნაშრომი „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია: მეჩვიდმეცე და მეთვრამეცე საუკუნე“, რომელშიც გამოკვლეულია 1629-1817 წწ-ში რომში, რუსეთსა და საქართველოში გამოცემული პირველი ნაბეჭდი წიგნები (კარიჭაშვილი, 1929). გარდა ამისა, არის სხვა ნაშრომებიც ზ. ჭიჭინაძის ავტორობით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დ. კარიჭაშვილის შეფასებით: „ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი ამ სფეროში აგახებს საერთო ხასიათს ჭიჭინაძის დაუცხომედის, მაგხამ უსისტემო და უმეთოდო შრომისას. ის აუახებელი ცნობები, ხომედნიც ზ. ჭიჭინაძეს აქვს მოყვანილი წიგნების ბეჭდვის შესახებ, დაუსაბუთებლები და წყაიხორქვენებლები, ჰკაჰგავენ ყოველსავე ღიხსებას ისტორიკოსისათვის. მის შრომის ღიხსებას აფორებენ ხშირი ცხადი შეცდომები, წაჩმომდგახნი ამისთანა შრომისათვის შესაფეხი მომზადების და საზოგადო ცოდნის უქონლობით“ (კარიჭაშვილი, 1929: 4-5). მიუხედავად ამგვარი არასამეცნიერო ხასიათის შრომებისა, მიზანშეწონილად ვთვლით, მაინც აღვნიშნოთ და მოვიყვანოთ ზოგიერთი ამგვარი ცნობა, რომელსაც ზ. ჭიჭინაძე გვანვდის კონსტანტინეპოლის სტამბის, იქ მოღვაწე პირებისა და იქ გამოცემული ქართულენოვანი წიგნების შესახებ.

ზ. ჭიჭინაძე თავის წიგნში წერს: „1860 წლებს შემდეგ, პ. ხაჩისჭაშვილი მხითაჩისტებს განშოხდა, კონსტანტინეპოლს გადასახდდა და განიძახა აქ ქართული სტამბის გახსნა, მასთან ქართული ძმობის დაახსება, ქართვედ კათოლიკეთათვის მონასტრის გახსნა ხოგოხც კაცების, ისე ქადების, მასთანვე სკოლის გახსნა და სხვაც ბევრი ასეთ საქმენი, აქვე გახსნა მან ქართული სტამბა 1872 წ. მას შემდეგ, კონსტანტინეპოლს დაბეჭდეს მხავდად ქართული წიგნები“ (ჭიჭინაძე, 1916: 162-163). იქ მოღვაწე პირებს შორის, ზ. ჭიჭინაძე ასახელებს პეტრე

ხარისჭარაშვილს.

უფრო სრულყოფილ ცნობას გვანვდის ქრ. რაჭველიშვილი თავის წიგნში „*ქართული სტამბის წიგნი: სტატისტიკუი-ისტორიული ნაჩვენავი*“: პეტრე ხარისჭარაშვილს 1860 წელს დაუარსებია კონსტანტინეპოლში სტამბა, სადაც დაახლოებით 10-12 წიგნი დაუბეჭდავს. საგამომცემლო საქმიანობა გაგრძელებულა დაახლოებით 1880-იანი წლების დამდეგამდე. 1879 წელს კონსტანტინეპოლიდან მოსული წიგნების ნუსხაში ჩამოთვლილია ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც საზღვარგარეთ დაბეჭდილა და რომლებსაც საქართველოში აგზავნიდნენ. აქვე ქრ. რაჭველიშვილს მოჰყავს ეს სიაც: 1. მსოფლიო ისტორია; 2. ქართული გრამატიკა; 3. გეოგრაფია; 4. სიბრძნე კაცობრივი; 5. ქართული რეტორიკა; 6. ფილოსოფია ანუ რეტორიკა; 7. ბრძენი კაცი; 8. რჩეული ლექსები; 9. თანსაბარებელი ლოცვის წიგნი; 10. წალკოტი – ლოცვანი; 11. სახელმძღვანელო ფრანციული ენის შესწავლისათვის; 12. ფრანციულ-ქართული გრამატიკა; 13. წმინდანების ცხოვრება; 14. ეზოპის იგავნი; 15. საქრისტიანო მოძღვრება. საქართველოში სულ გამოუგზავნიათ 2452 ცალი ზემოთჩამოთვლილი წიგნი (რაჭველიშვილი, 1934: 56).

რიგით მეხუთე ადგილზე მოხსენიებულია „*ქართული ჰეგოიკა*“, რომელშიც, ჩვენი აზრით, უნდა ვიგულისხმოთ 1879 წელს გამოცემული „*მოკლე ჰეგოიკა გინა მჭევხ-მეტყველება სასახებდოდ ახად გაზდა ყმაწვიდ კაცთა*“. როგორც წიგნების ჩამონათვალიდან ირკვევა, სტამბის მიერ გამოცემული წიგნების უმრავლესობა სასწავლო ხასიათს ატარებს.

ჩვენთვის ჯერხნობით ცნობილია ამ სტამბაში გამოცემული სულ ორი წიგნი: 1879 წელს გამოცემული „*მოკლე ჰეგოიკა გინა მჭევხ-მეტყველება სასახებდოდ ახად გაზდა ყმაწვიდ კაცთა*“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879) და 1880 წლის „*მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება ხომედი შეიცვამს თავისში ფსიხოდოლიას, დოლიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას (თეოდისე) და ზნეობას (მოხად) მაღადს სწავლაში შესასვდედ ყმაწვიდ კაცთათვის*“ (მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, 1880). ორივე წიგნი ამჟღავნებს ერთმანეთთან მსგავსებას, როგორც სათაურებით, ისე შედგენილობით და რაც მთავარია, როგორც საგამომცემლო მონაცემებიდან ირკვევა, ორივე დაბეჭდილია კონსტანტინეპოლის სტამბაში.

1879 წელს გამოცემული „*მოკლე ჰეგოიკის*“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ წიგნის შედგენის მიზეზსა და დანიშნულებას: „*დღემდე ახყოფიდა ჰიგიანი ხედად სახმახი მჭევხმეტყველების წიგნი ჩვენს დედა ენაზედა, და ახც ახა ვის მიუქცევია ჯეხოვანი ყუხადლება ამასა ზედა, ხათა საზოგადოებას მისცემოდა ხამე საშვადი სწავლის გაადვილებისა; შეხადისებურ იყო დახედოვნებაზე სხვა და სხვა მეცნიეხებაში, ხომდითაც შეიძლება საზოგადოების დაწინაუხება განათებაში*“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: ა). აქედან ირკვევა ისიც, რომ წიგნის შექმნის მიზანი ახალგაზრდებისთვის სწავლის გაადვილება იყო, რაც ასევე ხაზგასმულია სათაურშივე („სასარგებლოდ

ახალ გაზდა ყმანვილ კაცთა“). სახელმძღვანელო კონკრეტული დანიშნულებით გამოქვეყნდა. ის განკუთვნილი იყო ქართულენოვანი მკითხველისთვის და ისიც შეზღუდული ასაკობრივი ჯგუფისთვის.

მთელ რიგ საკითხებთან ერთად, ნაშრომში (II ნაწილი) განხილულია „მჭევრმეტყველებრივი ფორმები (Figures)“, რომელშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: „ფოხმები რექსებისა“ და „ფოხმები აზხებისა“. ესაა ტროპის სახეობები, რომლებიც სტილისტიკური საშუალებები, იგივე სტილისტიკის ძირითადი კატეგორიებია, აქვე ვკითხულობთ: „ღრამატიკოსის ვალია შეუცილებლად გააწყოს სიტყვები და მხოლოდ ნივთიერს გამშვენებაზედ თვალი ჰქონდეს. ხოლო მჭევრმეტყველს ჰმართებს შესანიშნი მშვენიერება რამე დასძინოს იმაზედა“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: 45).

ლექსების ფორმებად სახელმძღვანელოში დასახელებულია: დამატება, გადაფარება, მრავალ კანკლედობა, მსგავს ხმოვანება და ა.შ. აქ მოიაზრება გამეორების სხვადასხვა სახე. რაც შეეხება აზრების ფორმებს, სახელმძღვანელოში მოცემულია ამგვარი განმარტება: „ყოველი სიგყვა ჩვეულებითი დაპაჩაკის გაჩეთ გამოთქმული, გინდ გაჩდასხვაფეხებუდად იყოს იგი თქმული, გინდ გაჩდაქაჩთუღებუდად და თუ გინდ სხვა გვაჩის სახით“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: 45). ხოლო „გაჩდასხვაფეხება“ განმაჩგებუღია შემდეგნაჩიად: „რექსის მნიშვნეღობის სხვა მნიშვნეღობაზედ შეცვღა, მსგავსებისა ანუ შეფეხებუღობის დაგვაჩ, ჩოგოჩც წოღება მეღნის გბად თვადებისა, გიშჩის საჩებად წამწამებისა, ღვაჩღღის მთესვეღად, მზჩახავმკიღავის გინა ჰიჩმოთნესი და სხვაც“ (მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, 1879: 45). ჩვენი აზრით, „გარდასხვაფერებაში“ უნდა იგულისხმებოდეს მეტაფორა, „ნაცვალსახეღობა“ (როცა მიზეზი საქმისა მაგიერ დაიდება ანუ საქმე მიზეზის მაგიერ) იგივე მეტონიმია, „მიმხღურობა“ (ნაწილი მრთელის მაგიერ იხმაროს, მხოღობითი მრავღობითის მაგიერ) – სინეკდოქე, „გადაქაჩთუღება“ // „სხვა სიგყვაობა“ – აღეგორია, „გახმამაღღება“ – გრადაცი, ჰერიფრაზი განმარტებულია ნაცვალსახეღობად ანუ გარმოვღით მეტყვეღებად (ძე ნარწყმედისა – იუდა), ჰიპერბოღა – ზომის გარდამეტებღობად და ა.შ.

როგორც აქ მოყვანიღმა მაგალითებმა გვიჩვენა, ტროპის სახეობების აღსანიშნავად ტექსტში გამოიყენება არა ლათინური და ბერძნული წარმოშობის ტერმინები, არამედ მათი ჰირდაპირი ან კალკირებული თარგმანი. ფაქტობრივად, ეს არის სტილისტიკაში დამკვიდრებული ანტიკური რიტორიკიდან მომღინარე ძირითადი ტერმინების გადმოქართუღების ცდა, თუმცა წარუმატებელი, რადგან ლათინური წარმომავღობის ტერმინების შესატყვისი ქართული ტერმინები შემდგომ უკვე აღარ დამკვიდრებულა, მათ შორის, არც ქართულ სამეცნიერო მეტაენაში. ქართული ტერმინების შექმნის მცდეღობა რომ წარუმატებელი აღმოჩნდა იქიდანაც ჩანს, რომ ახღადშექმნიღი ქართული ტერმინი ზოგჯერ აბუნდოვანებს აზრს და მხოლოდ მაგალითებიდან გამომღინარე ვარკვევთ, რო-

მელ მხატვრულ ხერხზე საუბარი.

3. დასკვნა

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა, რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიმოხილვის საფუძველზე. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოში მჭევრმეტყველების თეორიისა და პრაქტიკის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენ მიერ განხილული რიტორიკისა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც XVIII-XIX სს-ს განეკუთვნება.

წინამდებარე კვლევაში წარმოვადგინეთ სულ სამი ასეთი წიგნი, რომელთაგან ყველაზე ადრეული სახელმძღვანელო არის მხითარ სებასტაქის „*ჩიგოჩიკის*“ ქართული თარგმანები, შესრულებული არაუადრეს 1761-1764 წლებისა. შემდგომი წიგნია სოლომონ დოდაშვილის „*ჩიგოჩიკა*“, რომელიც 1827-1828 წლებში დაინერა, თუმცა არ გამოქვეყნებულა და არც სასწავლო მიზნებისთვის ყოფილა გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ნაშრომი უდავოდ მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილად მივიჩნით მისი განხილვა სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად. მით უფრო, რომ სოლომონ დოდაშვილი, ამ მხრივ, რიტორიკის პირველი ორიგინალური ქართულენოვანი წიგნის ავტორად გვევლინება და მას წინამორბედი არ ჰყოლია. შემდგომი სახელმძღვანელოა კონსტანტინეპოლში, 1879 წელს ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემული „*მოკლე ჩეგოჩიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასახეებდოღ ახად გაზდა ყმაწვიდ კაცთა*“.

როგორც საკითხის შესწავლამ აჩვენა, რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები XVIII-XIX სს-ს ეკუთვნის, ხოლო მსგავსი თემატიკის უფრო ადრინდელი ლიტერატურა, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. თვით ეს ლიტერატურაც სათანადოდ არაა შესწავლილი. მაგალითად, მხოლოდ ცალკეული სტატიები ეძღვნება მხითარ სებასტაქის „*ჩიგოჩიკის*“ ქართულ თარგმანებს, სოლომონ დოდაშვილის „*ჩიგოჩიკასა*“ და ანთუან გვიზალიანის სტამბაში გამოცემულ წიგნს „*მოკლე ჩეგოჩიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასახეებდოღ ახად გაზდა ყმაწვიდ კაცთა*“.

ამჯერად, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები მათი დანიშნულებისა და ღირებულების თვალსაზრისით, გამოგვეჩვენა მათი ავტორების, შემდგენლების, მთარგმნელებისა და გამომცემლების შესახებ მეტი ინფორმაცია, მიმოგვეხილა სახელმძღვანელოების შექმნის ეპოქა, მიზეზები, გარემოებები და სხვ.

დამონეშებაანი:

ანდრონიკაშვილი, ზ. (2007). მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან (ენის რეფორმა როგორც სეკულარიზაციული პროექტი), საიუბილეო კრებულში: ილია ჭავჭავაძე 170, გვ. 74-81, თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/ilia-170>

ბარამიძე, გრ. (1987). მხითარ სებასტაციის „რიტორიკის“ ქართული რედაქციების საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, ტ. II (XVII), 371-375;

ბატონიშვილი, ი. (1936). კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფ.: სახელგამი. ხელმისაწვდომია: <http://dSPACE.gela.org.ge/handle/123456789/7016>

დარჩია, მ. (1992). სწავლა-აღზრდის ზოგიერთი საკითხი სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკის“ მიხედვით, ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, №1-2, 20-24;

დედაბრიშვილი, გ. (2013). ფილოსოფიური ურთიერთობები, კრებულში: მ. მახარაძე (რედ.), ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. II, გვ. 319-357, თბ.: უნივერსალი. ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/0B2VAaKxYsWISVUdfajB4THFXUTQ/view>

დოდაშვილი, ს. (1989). თხზულებანი, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, (1902). მოამბე: თვიური ჟურნალი, წელიწადი მეცხრე, №5, მაისი 5, 1-16. ხელმისაწვდომია: http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/155894/1/Moambe_1902_N5.pdf

კანდელაკი, ნ. (1958). ქართული მჭევრმეტყველება: ძეგლები და მასალები, თბ.: ხელოვნება;

კარიჭაშვილი, დ. (1929). ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია: მე-17 და მე-18 საუკუნე, ტფილისი: სახელგამი, პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ. <http://dSPACE.gela.org.ge/handle/123456789/6251>

კეკელიძე, კ. (1987). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

კუკავა, თ. (1968). ისევ სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკის“ გამო, ლიტერატურული საქართველო, №27, 12 ივლისი;

მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, (1879). მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმანვილ კაცთა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა. http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/315624/1/Mokle_Ritorika_1879.pdf

მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, (1880). მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცვამს თავისში ფსიხოლოლიას, ლოლიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას (თეოდისე) და ზნეობას (მორალ) მაღალს სწავლაში შესასვლელ ყმანვილ კაცთათვის, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა;



რაჭველიშვილი, ქრ. (1934). ქართული სტამბის წიგნი: სტატისტიკურ-ისტორიული ნარკვევი, ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა;
<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/7435>

ქუმისიშვილი, დ. & კუკავა თ. (1955). სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“, მნათობი, №1, 148-157.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/15057/1/Mnatobi_1955_N01.pdf

ცეცხლაძე, ნ. & ხახუტაიშვილი, მ. (2011). უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება“ – სტილისტიკის საკითხები, ენა და კულტურა: სამეცნიერო ჟურნალი, 2011, №6, 114-119;

ჭიჭინაძე, ზ. (1900). ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა: 1626-1900, ტფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ექ. ივ. ხელაძის სტ.
<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6400>

ჭიჭინაძე, ზ. (1916). ნიკოლოზ ბესარიონის ძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ., თბილისი: სორაპანი-ს სტ. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6455>

ჯაგოდნიშვილი, თ. (1999). ქართული ორატორული ხელოვნება, ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრა, თბ.: ტსუ.